ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს პირველ მაისს--საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონურ ძალთა საბრძოლო დათვალიერებას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

პარასკევი
1
მაისი
1936 წ.
№ 10 (69)

ბრძოლისა და გამარჯვების დღე

პირველ მაისს,—დიდ რევოლუციურ დღესასწაულს საერთაშორისო პროლეტარიატი, ყველა მშრომელი ხვდება ისეთ ვითარებაში, როდესაც ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხე, ფაშისტური ტერორის გაძლიერება, უმაღლეს წერტილს აღწევს. კაპიტალიზმი ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს მუშათა რევოლუციონური მოძრაობა, ისინი გამალებით ემზადებიან ახალი სისხლისმღვრელი ომებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იტალია-აბისინიის ომი, იაპონიისა და გერმანიის ფაშიზმის აშკარა მზადება ომისათვის. ლოკარნოს ხელშეკრულების დარღვევა გერმანიის ფაშისტური სახელმწიფოს მიერ და სხვა.

ახალი იმპერიალისტურ ომის საფრთხე დღითი დღე ძლიერდება „ომმა შეიძლება მოულოდნელად იფეთქოს" (სტალინი).

მსოფლიო პროლეტარიატი, კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით მიმდინარე წლის პირველ მაისს მეტი სოლიდარობითა და დარაზმულობით ხვდება. მტკიცდება და ფართოვდება ერთიანი ფრონტის საქმე. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს საფრანგეთის, და ესპანეთის მაგალითები სწორედ ამ ფრონტის წინააღმდეგ ფაშისტური დიქტატურა სასტიკ სისხლის მღვრელ ბრძოლას ანთებს პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობის ჩახშობისათვის, ფაშიზმის ერთად ერთი ლოზუნგია სისხლი, სიკვდილი, მტაცებლური ომი. ფაშიზმი—ეს არის კაპიტალის შემოტევა მუშათა კლასსზედ ეს არის მტაცებლური ომი. ფაშიზმი ეს არის სიმშილი სიღატაკე, გაჩანაგება. ყველა ქვეყნის პროლეტარებო და მშრომელებო, დაირაზმეთ ერთიან ფრონტად ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად". (ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან).

საბჭოთა კავშირის მშრომელები მტკიცედ ატარებენ მშვიდობიანობას, ამაგრებენ თავის უძლეველ წითელ არმიის რიგებს და პირველ საჭიროებისთანავე მტრის დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით უპასუხებენ.

„მშვიდობიანობის მეგობართა საქმის ერთ-ერთ უახლოეს წარმატებას წარმოადგენს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დახმარების პაქტის რატიფიკაცია საფრანგეთის დეპუტატთა პალატის მიერ, მშვიდობიანობის მტრებისათვის ეს პაქტი განსაზღვრულ დაბრკოლებას წარმოადგენს" (სტალინი),

ჩვენი ლოზუნგი მშვიდობიანობა და სოციალიზმი. როგორც სამართლიანად შენიშნავს „პრავდა" ჩვენთვის ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან განუყოფელია. ისინი ფა[illegible] სასიკვდილო განაჩენს შეიცავს.

[illegible]ოსალური უმუშევრობა, სიღატაკე, ხელფასის კატასტროფიული შემცირება, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების დეგრადაცია, პროსტიტუცია, მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაცია, მშრომელთა ფართო მასების ცხოვრების პირობების გაუგონარი დაცემა—აი რა ახასიათებს კაპიტალისტურ მსოფლიოს. ყველაფერი ეს შექმნა კაპიტალიზმმა, ფაშისტურმა დიქტატურამ, რომელსაც მსოფლიო კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი უპასუხებს იერიშის კიდევ მეტი გაძლიერებით.

კაპიტალიზმის რევოლუციური დამსხვრევისათვის „იერიშის იდეა მწიფდება მასების შეგნებაში".. (სტალინი) კიდევ უფრო ჩაღდება კოლონიალური მოძრაობა, მშრომელები გმირულად იბრძვიან ფაშიზმის წინააღმდეგ.

დღეს, პირველ მაისს, მშრომელი ახალგაზრდობა თავიანთ დედებთან და მამებთან ერთად გმირულად გამოვლენ და ერთხელ კიდევ დაანახვებენ კაპიტალისტურ მსოფლიოს თავიანთ უძლეველობას, დარაზმულობას და ერთსულოვნობას, მათ არ ეშინიათ ტყვისა და სისხლის დაღვრის. ისინი მედგრად იბრძვიან მსოფლიო ოქტომბრისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელები პირველ მაისს ხვდებიან უდიდესი აღტკინებისა და აღმავლობის პირობებში საბჭოთა კავშირში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის **ამხ. სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად სოციალიზმმა გაიმარჯვა საბოლოოდ და სამუდამოდ. ნეპური რუსეთი იქცა სოციალისტურ რუსეთად. ცხოვრებას საბჭოთა ქვეყანაში ყოველდღიურად მოაქვს სიხარული და ბედნიერება.

„ცხოვრება გაუმჯობესდა ამხანაგებო: სცხოვრება საამური გახდა. ხოლო როდესაც ცხოვრება სამურია მუშაობაც გემარჯვება. აქედან--გამომუშავების მაღალი ნორმები. აქედან შრომის გმირები და გმირი ქალები" (სტალინი). ოქტომბრის რევოლუციის შედეგად განთავისუფლებულმა შრომამ სასწაულები მოახდინა „ხალხი, რომელიც თავისთვის მუშაობს, რომელიც თავისი ბედის ბატონ-პატრონია, სასწაულებს ქმნის. განთავისუფლებული ხალხის მოწინავე ადამიანები შრომის ნაყოფიერების ისეთ ნიმუშებს იძლევან, რომელიც არასოდეს არ დასიზმრებიათ ფორდებს და ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციის სხვა ღმერთებს" (პრავდა).

დღეს ჩვენ აღარ ვითვლით ტექნიკას დაუფლებულ ადამიანებს ერთეულების სახით. სოციალისტურ ინდუსტრიის, ტრანსპორტის, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ისინი ჩვენ მრავალი გვყავან. მიმდინარე 1936 წელი ხასიათდება სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით, რომელიც მოედო სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. სტახანოველებს, ახალ ადამიანებს ნათლად აქვს შეგნებული მათი შრომის უდიდესი მნიშვნელობა, უდიდესი სარგებლობა სოცილისტური სამშობლოსათვის. ფართე აღმავლობის გზით მიდის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სოციალისტური ვაჭრობა და სხვ. დღითი დღე იზრდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა. მშრომელები ფართოდ დადგენ შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზაზე. ყვავის საბჭოთა მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, ლიტერატურა. მეორე ხუთწლედში უკლასო საზოგადოების დამთავრებისათვის უკვე შექმნილია ყოველგვარი პირობა. ფართედ ხორციელდება საყოველთაო საარჩევნო უფლების ყოველგვარი შეზღუდვის სავსებით გაუქმების საკითხი.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი სახალხო მეურნეობის და კულტურის დანარჩენ მომუშავებთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებითა და მიღწევებით ხვდება პირველ მაისს.

ჩვენი პროფესურა, სტუდენტობა მტკიცედაა დარაზმული ბელადის სიტყვის უკლებლივ შესრულებისათვის. „კადრები სწყვეტენ ყველაფერს, ეს არის ეხლა მთავარი". ეს ლოზუნგი თვითეულ მასწავლებელს, პროფესორს, აკისრებს უდიდეს ამოცანას, რათა უნივერსიტეტის მუშაობა აყვანილ იქნას სტალინური მოთხოვნილებათა სიმაღლეზე. თვითეულმა მასწავლებელმა, პროფესორმა, უნდა იბრძოლოს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის—საუკეთესო გეოლოგების, გეოგრაფების, ლიტერატორების, ეკონომისტების, იურისტების, ისტორიკოსების, ქიმიკოსების და სხვათა გამოზრდისათვის. რათა მივსცეთ მაღალ კვალიფიცირებული კადრები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს. ამას ჩვენ უზრუნველვყოფთ და მომავალ პირველ მაისს შევხვდებით მეტი აღფრთოვანებით და კიდევ უფრო უდიდესი მიღწევებით, რადგან ჩვენ ყოველდღიურად გვეხმარება და გვხელმძღვანელობს **სტალინის** ღირსეული მოწაფე საბჭოთა საქართველოს და ამიერ-კავკასიის საყვარელი ხელმძღვანელი. ამხ. **ლავრენტი ბერია**.

უნივერსიტეტმა, მისმა თვითეულმა პროფესორმა, ლექტორმა, ასპირანტმა და სტუდენტმა გულწრფელი და დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით უნდა გაამართლოს ამხ. სტალინისადმი და მისი საუკეთესო მოწაფისადმი ამხ. ბერიასადმი მიცემული სიტყვა. საბჭოთა მეცნიერების კიდევ უფრო მეტად აყვავების და საუკეთესო და ახალგაზრდა კადრების ბოლშევიკურად აღზრდისშესახებ.

გაუმარჯოს 1 მაისს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა საბრძოლო დათვალიერების დღეს.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ბელადს—დიდ **სტალინს**!

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინის დიად,
უძლეველ დროშას!
გაუმარჯოს ლენინიზმს!



ტელმანს!

მობაიტში მომწყვდეულო გმირო,
გულს ვერ გიტეხს ფაშისტების ბანდა,
და შენს რწმენას სხვა რამე არ ანთებს
გამარჯვების იმედების გარდა!..

—

დათვლილია დღეები ჰიტლერის...
შენს თვალებში ბრძოლის ცეცხლი ანთია,
რადგან გწამს, რომ დამარცხდება მტერი—
გერმანიაც მოესწრება განთიადს.

—

გერმანიის კომპარტიის დედავ!
შენს გულს ბრძოლის სიხალისე ავსებს,
რადგან გწამს, რომ სისხლის ფერი დროშა
თავზარს დასცემს მუქთა-ხორა კლასებს.

—

გაწვალებენ? დაე, არა უშავს...
ვერ მოგხაროს, მტრის ბინძურმა ხელმა...
მოესწრება გერმანელი მუშა
რომ მათ ლაღად გვერდში ედგას ტელმან!

—

გიმზადებენ „ლეიპციგის პროცესს"?
კონტრრევოლუციონერ[illegible]ტესტისთვის მასებს.
არ დავუთმობთ, ტელმან, შენს სიცოცხლეს
სისხლის მწოველ მუქთა ხორა კლასებს.

—

ბნელ საკანში უმოწყალოდ ნაცემს
წარბიც კი ვერ შეგიხაროს მტერმა.
შენ ვერავინ ველარ დაგამარცხებს
იმიტომ, რომ შენ ჩვენი ხარ, ტელმან!..

ლიტ. ფაკ. სტუდენტი—შოთა ბახტაძე.

რუთა ბეროძე.

ჩემი ქვეყანა

ჩემი ქვეყანა გაშლილია და უსასრულო,
ზღვარ დაუდები, სიხარულის უბრწყინავს თვალი,
ჩემს ქვეყანაში მუდმივ მზეა და ის კისრულობს
მოავარაყოს დიდებული სახელი—სტალინ!

—

მთელი ზღვის ღელვა, ჩემს სამშობლოს გულის ძგერაა,
ძგერა, რომელიც ამ საამურ ცხოვრებას ზიდავს!
შეჰხორცებია სიხარული მის ბედისწერას,
ვისაც კი ტერფი არ დაუცდა სტალინურ გზიდან.

—

რახანი არის გაზაფხულის მერცხლის ჭიკჭიკი
რომ შეისმინა ჩემი ბაღის გაშლილმა ვარდმა,
მისი სურნელი, ჩემი ქვეყნის საზღვრების იქით,
მონატრულა მოღუშულ და მტირალა დარმა

—

სიხარულს მოჰყვა სიყვარულის გიჟი ჩანჩქერი,
რომელიც გულის ჯებირებში ველარ ეტევა
და ამ ფურცლის სტრიქონების თითო ნაჭერიც
ამ სიყვარულის და საამურ ცხოვრების ტყვეა!

—

დე! ზღვად გადიქცეს სიხარული მოზღვავებული,
რომ მეტი გრძნობით ააჟღეროს ამ ლექსის თარი
და თუ აღმოხდა, ერთი ჰანგიც, ცრუ და ორგული
უნდა ჩამოწყდეს ყველა ძარღვი რაც გულთან არი!

ასოთ-ამწყობი დავით ჩირაძე

დავით ჩირაძე, ენერგიით სავსე ახალგაზრდა კაცია, შრომა მისთვის, როგორც ყველა საბჭოთა მშრომელისათვის, სახელის და მამაცობის საქმეა. მის სპეციალობას ის წლობით ეუფლებოდა.

ქუთაისის და ტფილისის სტამბებში 25 წელი გაატარა. ამ ოცდახუთი წლიდან, ათი წლის მუშაობა (1911—1921) იყო წამება, ვინაიდან ეს პერიოდი იყო საქართველოში, რუსეთის ცარიზმისა და ყველაზე საზიზღარი მენშევიკების ბატონობის პერიოდი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დავითის ცხოვრება მუდამ წინ მიდის, დღითიდღე უუმჯობესდება ცხოვრების პირობები.

დავით ჩირაძე სასტამბო საქმეს მთლიანად დაუფლებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრს ეხმარება ახალგაზრდა მოწაფეებს სასტამბო საქმიანობის ათვისებაში. ამიტომაც ახალგაზრდა სპეციალისტები დიდი პატივისცემით იხსენიებენ მის სახელს.

დავითი ყოველდღიურად მუშაობს თავის თავზე. რაც მთავარია წყობის პროცესში რამდენი ლამაზი და შინაარსიანი წინადადება გვერდში ჩასმასთან ერთად თავის თავშიც მოუთავსებია. იგი სისტემატურად კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი არის უნივერსიტეტის სტამბის კედლის გაზეთის აქტიური თანამშრომელი.

დავითი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამომცემლობის დაარსებიდან მუშაობს ამავე სტამბაში და ითვლება ერთერთ საუკეთესო ასოთ-ამწყობად.

ამჟამად დავითი მუშაობს რუსულ-ქართული ლექსიკონის აწყობაზე.



სალამი მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს, რომელნიც ამტკიცებენ სოციალისტურ სამშობლოს ტექნიკურსა და კულტურულ ძლიერებას! გაუმარჯოს ს. ს. რ. კავშირის ხალხთა კულტურის აყვავებას.

ჩემი ცხოვრების ბედნიერი დღეები

პირველი მაისი—ეს პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო საზეიმო დღე, დღიდან მისი დაწესებისა, არასოდეს არ ყოფილა ისე საყვარელი და მიმზიდველი, როგორც დღეს ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში.

მე, როგორც ხანში შესულს, რომელსაც გავლილი მაქვს არა ერთი რევოლუციის და ცხოვრების ქარტეხილის გრიგალი და ქარიშხალი, და რომელიც მოწმე ვარ არა ერთი მთავრობის,—შემიძლია სრული სითამამით დავადასტურო ეს ჩემი ნათქვამი.

ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებამდე საპირველმაისო ზეიმობა ბურჟუაზიისა და სოციალ გამცემლების ხელში იყო; მათ არ შეეძლოთ იმ ღრმა შინარსის და დედააზრის შეგნება, რომლებიც ჰქონდა ამ დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის.

მხოლოდ პროლეტარულმა დიქტატურამ და პროლეტარიატის მარჯვენით შექმნილმა ახალმა უკლასო საზოგადოების შემქნელმა ხელისუფლებამ შეძლო ამ უბრწყინვალესი საზეიმო დღის სათანადოდ შეფასება და გააზრება, და დღეს ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მოქალაქე მთელი თავისი არსებით გრძნობს და განიცდის ამ საზეიმო დღის უდიდეს ძალასა და მნიშვნელობას.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

საბჭოთა მოქალაქეს, რომელსაც საუკეთესო პირობები შეუქმნა ახალმა ცხოვრებამ და თანაც სრული ასპარეზი ეძლევა მას საქვეყნო და ყველასათვის საარსებო ნაყოფიერი მუშაობისათვის, არ შეუძლია არ მიეცეს მთელი თავისი არსებით მშრომელთა ამ საზეიმო დღით გამოწვეულ საერთო შვებასა და სიხარულს.

მე თუმცა სამოცი წლის მოხუცი ვარ, და ბევრი ავისა და კარგის მნახველი და გამგონე, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ რამდენიც არ უნდა მეცოცხლა, მე ვერ მოვესწრობოდი ჩემი მხარისათვის ამაზე უზეიმეს და უნეტარეს პირველ მაისს.

მართლაც:

მე მთელი ჩემი სიცოცხლე ვემსახურებოდი იმ ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს, როგორიცაა, საერთოდ, ძველი ქართული საერო ლიტერატურის ნიმუშები, და, კერძოდ, „ვეფხის-ტყაოსანი“ და მისი გენიალური შემოქმედი შოთა.

მაგრამ არასოდეს არ მქონია ისეთი ხელშემწყობი პირობები ამ ჩემი საყვარელი ობიექტების შესწავლისათვის, როგორც დღეს.

დღეს მე მოვესწარ იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ჩვენი ჩაგრული ხალხის შვილი, გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, გახდა სიამაყე მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა და მაშვრალთა, და ამავე დროს შეუდარებელ მფარველად და მოჭირნახულედ ევლინება თვითმპყრობელი რუსეთის რეჟიმის დროს საუკუნეებით ჩაგრულ ხალხებსაც. დღეს მე მოვესწარ იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი საყვარელი ბელადის და მისი საუკეთესო თანამშრომლის ამხ. ლ. ბერიას ღვაწლით სავალდებულოდ გახადა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქისათვის მისთვის ნაანდერძევი უძვირფასესი ლიტერატურული მემკვიდრეობის „ვეფხის-ტყაოსანი„-ის, და მისი დამწერის პოეტური შემოქმედების შესწავლა და მთელი მსოფლიოს წინაშე გამოფენა-გამომზევება.

ყველა ეს ჩემში იწვევს, როგორც გავლილი მძიმე ცხოვრებით დამაშვრალში, განსაკუთრებულ სიმხნესა და ენერგიას, მე განსაკუთრებით მამხნევებს და მაფრთოვანებს ჩემი შესწავლის უსაყვარლესი ობიექტის ქართული საერო მწერლობის სამკაულის—„ვეფხისტყაოსნის“ და მისი ხელოვანი შემოქმედის შესწავლის ხელისუფლების მიერ სავალდებულოდ ცნობა და ჩვენი დარგის მეცნიერთათვის ამ დიდი საქმის შესრულების დაკისრება.

მე ამ ჟამად განსაკუთრებული ხალისით ვსწირავ მთელ ჩემ საუკეთესო დროს საუნივერსიტეტო მეცნიერებისათვის საჭირო სპეციალობას—ირანმცოდნეობის დარგს-ვკითხულობ ლექციებს ირანულ ენასა და ირანული მწერლობის ისტორიაში—ლიტერატურული და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის; დამზადებული მაქვს დასასტამბავად ნაშრომები: 1) ირანულ-ქართული ბგერითი შესატყვისობანი, ირანულიდან ქართულში შემოჭრილი სიტყვების სპეციალური ლექსიკონის დართვით, 2. ვრცელი ირანულ-ქართული ლექსიკონი“, 3. შევადგინე და იბეჭდება სამედიცინო სამართველოს დავალებით შედგენილი ქართულ-არაბულ-ირანული ლექსიკონი ქართულად ნათარგმნი კარაბადინისათვის“.

ვთანამშრომლობ და ვათავსებ ჩემი სპეციალური დარგიდან ნარკვევებს უნივერსიტეტის „შრომებში“, ჟურნალ „მნათობში“ და „საბჭოთა ხელოვნება“-ში, ვამზადებ შრომას საქ. აკადემიისათვის აკად. ნ. მარის ხსოვნის წლის თავისათვის მიძღვნილი კრებულისათვის მარქსისტული საენათმეცნიერო განყოფილების ენისა და აზროვნების ინსტიტუტის მომართვის თანახმად; დავასრულე კვლევაძიება საერო ლიტერატურის ნიმუშების--„ვისრამიანი“-ს, „ამირან-დარეჯანიანის“ და, საერთოდ, ირანულიდან ნათარგმნი ძეგლების შესახებ, რასაც მოკლე ხანში გამოვაქვეყნებ. შევადგინე ჩემი მთავარი ობიექტის ირანული ენისა და ირანული მწერლობის შესწავლისათვის საჭირო სახელმძღვანელოები — ირანული ენის გრამატიკა და ქრესტომათია. ამასთან ერთად მე ვასრულებ რუსთველის ინსტიტუტის პრეზიდიუმის წევრის და მისივე უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მოვალეობებს და ვმუშაობ “ვეფხის-ტყაოსნ“-ის ტექსტის დამდგენ კომისიაში და ვადგენ ვეფხის-ტყაოსნის აკადემიური გამოცემისათვის ვრცელ ლექსიკონს, ამგვარსავე ლექსიკონს ვადგენ საერო ლიტერატურის მეორე უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ვისრამიანი“-ს ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის.

პროფ. **იუსტინე აბულაძე.**

ორდენოსანი, სპორტსმენი სახ. უნივერსიტეტის სტ. იოსელიანი

ორი სამყარო

საბჭოთა კავშირის მიღწევებით აღსავსე და უდიდეს აღმშენებლობაში ჩაბმულ პროფესურას და სტუდენტობას უხარიან და ენტუზიაზმით ხვდებიან ისეთ დღესასწაულებს როგორიცაა: პირველი მაისი, ქალთა დღე და სხვა.

დემონსტრაციების დამსწრეს თვალწინ ეშლება ზღვა ხალხისა სხვადასხვა გვარათ გამომხატველი თავისი საამური აწმყოს და მომავლის; ზეიმი ნამდვილად მასსიური და ხალხურია; ის გამოხატავს გამარჯვებული ხალხის მიღწევებს, საამურ ცხოვრებას, უდიდეს მშენებლობას და წინსვლას.

სულ სხვაა უცხოეთში—კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ პირველი მაისი ბრძოლის დღეა. ამ დღეს იქაურ მუშებს გამოაქვთ ისეთი ლოზუნგები და მოთხოვნები, რომლებიც ჩვენში კარგა ხანია განხორციელებულია. მაგალითად, უცხოეთში პირველი მაისი ჯერ კიდევ 8 საათიან სამუშაო დღისათვის, ქალების ემანსიპაციისათვის, მცირე წლოვანთა მუშაობის შემსუბუქებისათვის და ბევრ სხვა ისეთ საკითხებზე იბრძვის, რომლებიც ჩვენში გასაბჭოების პირველი დღიდანვე გადაიჭრა.

კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა და ღარიბ გლეხობის ბრძოლას უმუშევრობის საკითხი კიდევ უფრო ამწვავებს. უმუშევრები ევროპასა და ამერიკაში მილიონობითაა. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამათ დაახლოებით 25 მილიონი უმუშევარია. ეს წარმოადგენს მოსახლეობის მეხუთედს. ეს ხალხი პირველ მაისს ლუკმა პურს თხოულობს.

ყველა ეს მოთხოვნები არ მოსწონთ კაპიტალისტურ მთავრობებს და ამიტომ საპირველმაისო დემონსტრაციები თითქმის ყველგან აკრძალულია. მიუხედავად ამისა მუშათა კლასი მაინც გამოდის ქუჩაში სადემონსტრაციოდ გამოდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მედგრად, დარაზმულად და საბრძოლველად მომზადებული.

იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ პირველ მაისის მუშათა დემონსტრაციებს არ ჩაერიოს პოლიცია და ხალხს ცემა არ დაუწყოს იმართება ხელჩართული ომი და სროლა, რასაც შედეგად სისხლის ღვრა და სიკვდილი მოსდევს. შარშან მაგალითად ნიუიორკის ერთ ნაწილში, რომელსაც „ჰარლემს“ ეძახიან და რომელიც შავკანიანების უბანია პოლიციამ დემონსტრაციას სროლა დაუწყო. აუარება ხალხი დაიჭრა და დაიხოცა. ბევ სხვა სამრეწველო ცენტრებშიაც იგივე განმეორდა.

ევროპაში ასეთი საპირველმაისო ბრძოლა არა ნაკლებ მწვავეა. ისეთი სამრეწველო ქალაქებში როგორიცაა ჰამბურგი, ლუჟი, მარსელი და სხვა. ამ დღეს სწორედ რომ თავის ლოზუნგების და მოთხოვნილებების დღედ იყენებენ და ამ ნიადაგზე ხშირია სისხლის ღვრა პოლიციასთან შეტაკების დროს.

ევროპა-ამერიკის ღარიბი გლეხობა და პროფესურა-სტუდენტების ერთი ნაწილი ამ ბრძოლის აქტიური მონაწილეა. ყველანი დარწმუნებული არიან რომ მალე ისინიც მიაღწევენ თავის მიზნებს, დაამყარებენ საბჭოთა ხელისუფლებას და ისეთივე ბედნიერები გახდებიან, როგორებიც ჩვენა ვართ.

პროფ. **ცინცაძე.**

ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერი

იგი მოკლე შარვლიანი პატარა ბიჭუნა ფეხშიშველა დარბოდა სამეგრელოს მინდორ-ველზე, როდესაც მამა მისი ომის ფრონტზე გაიწვიეს. ომიდან დაბრუნებული მამამისი მენშევიკების ბატონობის დროს უფრო დაუძლურდა და დაეცა, რამდენი მწარე დღეები ახსოვს მამის ნაამბობი განვლილი მწარე დღეების შესახებ. საქართველოს გასაბჭოების წელს გარდაიცვალა დაუძლურებული მამა. გუშინდელ დღესავის ახსოვს მამის უკანასკნელი თვალცრემლიანი კოცნა და ანდერძი მშობლიური ალერსით გამთბარი.

უმამო ოჯახი გაპარტახდა. პატარა ბიჭუნია სოფელში დაეხეტებოდა. ბოლოს დაბა ქალაქში მოხვდა და ბოჰემურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მაგრამ მას მალე აღმოუჩნდა მამა. საბჭოთა ხელისუფლება, გახდა მისი ნამდვილი მშობელი. 1923 წელს სენაკის ალმასკომმა იშვილა იგი, ამავე წელსვე მოეწყო იგი სასწავლებელში. ოქტომბერმა ადამიანური მზრუნველობა და წიგნი მისცა უკვე სიჭაბუკეში შესულ ადამიანს. სწავლის სურვილმა ერთბაშად შეიპყრო იგი ნიჭიერი ახალგაზრდა წიგნებმა გაიტაცა. 1927 წელს დაამთავრა სენაკის 9 წლედი.

ის გაიზარდა, ქაიფურჩქნა გონებრივად. მის ნიჭს ფართო გასაქანი მიეცა სწავლის წყურვილი გაეზარდა მისი გონება უფრო მეტს მოითხოვდა და იგი ტფილისს გამოემგზავრა უმაღლეს სწავლის მისაღებად. სწავლების წარჩინებული მოწინავე ბიკენტი 1928 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში საუკეთესოდ აბარებს მისაღებ გამოცდებს.

უნ-ტში ბიკენტი მეუნარგია თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. ამ მოწინავე ახალგაზრდას ყველა პატივს სცემდა და აფასებდა. იგი ყველას აჰვირებდა საკითხის სიღრმით დაუფლებაში, ნათელი პერსპექტივით და ორიენტაციით. რეორგანიზაციის შემდეგ იგი მოხვდება პედინსტიტუტში და აქ მას ირჩევენ ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივის მ/მგ. მდივნად. სადაც ის მუშაობდა 2 წლის განმავლობაში და საიდანაც გადაყავთ ორჯონიკიძის რაიკომის კულტპროპად.

1932 წელს წარჩინებით დაამთავრა პედინსტიტუტი. ამხ. ბიკენტს, როგორც მოწინავეს, აკადემიურად მომზადებულ ახალგაზრდას ტოვებენ ასპირანტურაში. სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იგი გადმოდის უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

1935 წელს ამხ. ბიკენტი იგზავნება მოსკოვში მეცნიერულ მივლინებაში, სადაც დაჰყო წელიწად ნახევარი. ამხ. ბიკენტი მოსკოვშივე შეუდგა დისერტაციის წერას თემაზე: „შესაძლებლობა და სინამდვილე სტალინთან. რომელიც წელიწად ნახევრის მუშაობის შემდეგ დაამთავრა და რომელიც უკვე გადაცემული აქვს პროფ. ვაშაყმაძეს და პროფ. შარიას სარეცენზიოთ.

ამხ. ბიკენტიმ დისერტაცია დიდი მონდომებით და სიყვარულით დაამუშავა. პარალელურად მუშაობდა მეორე თემაზე „სუბიექტის პრობლემა დიალექტიურ მატერიალიზმში“, რომელიც წინსაწარ წაკითხულ ჩქნა 23 აპრილს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციაზე. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი სრულიად ორიგინალური შრომაა.

ამხ. ბიკენტი მაისის თვეში თავისი დისერტაციით წარდგება საბჭოთა აუდიტორიის წინაშე.

ს.

სურათზე: (ზევიდან ქვევით) ფრიადოსანი ასპირანტები: მ. ჩხენკელი, მ. მთვარაძე, და ახალგაზრდა მეცნ-მუშაკი ი. მირცხულავა

ივანე კვაჭაძე.

მეცნიერებათა დოქტორი პარიზის უნივერსიტეტისა.

ჩემი შთაბეჭდილებანი

ათი წლის ევროპაში ყოფნის შემდეგ საკუთარი სურვილით ჩამოვედი საბჭოთა საქართველოში, რამაც ჩემი ცხოვრება გაამდიდრა საამო და წარუშლელი შთაბეჭდილებებით. მაგრამ, სრულიად შეგნებულად, ამ სტრიქონებს ვწერ არა პირველი შთაბეჭდილების ზეგავლენით, არამედ ჩვენს ვითარებაში ღრმად ჩახედვის შედეგად. საქ. თავისუფალი მშრომელები მე-16 წელია რაც პირველ მაისს ვდღესასწაულობთ, და რამდენადაც წინ მივდივართ, იმდენად მხიარული და საამო ხდება ჩვენთვის ეს ბრწყინვალე დღე. პირველი მაისი ჩვენში გამარჯვებული შრომის ზეიმია. მართლაც ჩვენი დღევანდელი ვითარება, რომ შევადაროთ ჯერ ჩვენსავე წარსულს, მერე კაპიტალისტურ ქვეყნების მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ჩვენი საპირველმაისო ზეიმი გამოწვეულია ჩვენი აღორძინებით, საამური და ბედნიერი ცხოვრებით. მენშევიკებმა საქართველო იმპერიალისტების სათარეშო არენად გადააქციეს. მენშევიკთა მთელი ბატონობა იყო მუშათა მოძრაობის ჩაკვლის იარაღი, რომლის სისხლიანი ისტორია კარგად არის ცნობილი როგორც ჩვენში, საქართველოში, ისე მის გარეშე. ჩვენი აღორძინების ისტორია იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. ჩვენი განვითარება მიდის ისეთი ტემპით, რომელიც არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ ახსოვს. თვალწინ მიდგას ძველი და ახალი საქართველოს სურათი და, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის რაც საკუთარი თვალით ვნახე და გავიცანი. უკვე ბათომში ჩამოსვლისას ვიგრძენი ახალი ცხოვრების სილამაზე. ჩამორჩენილი, მენშევიკ-იმპერიალისტების მიერ დარბეული და ფიზიკური მოსპობის გზაზე დამდგარი აჭარა დღეს აყვავებულ სოც. კუთხეს წარმოადგენს. ამას მოწმობს მრავალი თვალსაჩინო მიღწევა სოფლის მოწყობისა და ურბანიზმის დარგში; ძვირფასი პლანტაციების გიგანტური ზრდა, სოფლების კულტ. მომსახურება და მატერიალური კულტ. ცხოვრების გაუმჯობესება, მოდერნიზებული პორტი, უმაღლესი პედ. ინსტიტუტი, ჰაეროდრომი, ასფალტით მოგებული ქუჩები, ფაბრიკა ქარხნები, დასასვენებელი სახლები, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია—აი დღევანდელი აჭარა. ასეა მთელ საქართველოში; ასე რომ გამოთქმა „ჩამორჩენილი კუთხე“ დღეს უკვე ანაქრონიზმია მავნებლობაა. კოლხიდის მშენებლობა, რომლის მიზანია ვებერთელა ჭაობების ამოშრობა, ქვეყნის გაჯანსაღება და ძვირფას კულტურათა გაშენება, საჰაერო გზების ქსელი, მრავალი ჰიდრო ელექტროსადგურები, რკინისგზის ელექტროფიკაცია, მეურნეობისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა მეცნიერული შესწავლა, უახლოესი ტექნიკის შემოღება და დანერგვა, კოლმეურნეობათა განვითარება და მშრომელთა სიღატაკის მოსპობა, სპეციალისტების მრავალრიცხოვანი კადრის შექმნა, ხელოსნობისა და ხელოვნების დიდი თვისობრივი და რაოდენობითი ზრდა, ტფილისისა და ქუთაისის (30.000 მუშა) გამშვენიერება და ინდუსტრიალურ ცენტრებად გადაქცევა—ყველაფერი ეს მოხდა ერთობ მცირე დროში და საფუძვლად უდევს მშრომელთა რეალურ ინტერესებიდან გამომდინარე სწორი მიზანდასახულობა და ადეკვატურ საშვალებათა გამონახვის მახვილი უნარი. ამრიგად მენშევიკების მიერ გაპერანებული და გაძარცული საქართველო დაადგა განვითარების გზას, და ინდუსტრიალური ცენტრებით იფარება. საქართველო დღეს ინდუსტრიალურ აგრარული ქვეყნად გადაიქცა.

მენშევიკების დროს მუშათა მიტინგებს ხვრეტდენ. დღეს კი მუშა სახელმწიფოს სუვერენული მშენებელია. ამ ღირსების შეგნება არის უდიდესი სტიმული, წყარო დაუშრეტელი დინამიურობისა და ბედნიერი ცხოვრების. ამით აიხსნება სწორედ ის შრომის ენტუზიაზმი, რომლის მზგავსი კაპიტალისტურ ქვეყნებში არაფერი მინახავს, რადგან მუშა იქ მანქანის მონად ან უბრალო დანართად არის ქცეული: ein blosses Jubelhör der Machine.

ჩვენში მეცნიერება გამოვიდა კარჩაკეტილობიდან, შეანათა ყველგან, განსაზოგადოვდა. ამით ის კი არ დაცემულა, არამედ ამაღლდა ახალი და ცხოველი მოტივების ზეგავლენით. მისი ზრდის მაჩვენებელია ყველა ტიპის საშუალო და უმაღლეს სკოლათა მთელი ხომლი. როგორც ტფილისში, ისე სხვა ქალაქებში. საკავშირო აკადემიის ქართული ფილიალი; კეთილმოწყობილი და სალად ადმინისტრებული უნივერსიტეტი თავის 8 ფაკულტეტით და ხუთი ათასი სტუდენტით, რომელთაგან 80% სტიპენდიანტია. ინსტიტუტები მარქსიზმი — ლენინიზმის, აგრონომიური, პედაგოგიური (რამდენიმე), რომელთაგან ქუთაისის არსებითად უნივერსიტეტს წარმოადგენს; ინდუსტრიალური, სამედიცინო, საგზაო, სატყეო, ვეტერინარული, საფინანსო, ჩაისა და სუბტროპიკების—აი ის კულტურული კერები, რომელზედაც „სამნოეთა წილხდომილი“ საქართველო ოცნებასაც ვერ გაბედავდა. მე განსაკუთრებით დავუკვირდი მეცნიერული მუშაობის მიმდინარეობას ჩვენს ახალგაზრდა უნივერსიტეტში, რომელსაც ხელმძღვანელობს ისეთი სერიოზული მეცნიერული მუშაკი, როგორიცაა ამხ. პროფ. კარლო ორაგველიძე; ამ დაკვირვებამ დამანახვა, რომ ჩვენი მეცნიერება ამაღლდა დამოუკიდებელ მუშაობამდე და საბჭოთა კავშირის მეცნიერებასთან ერთად.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერება მისტიციზმისა და მეტაფიზიკის გავლენიდან არაა თავისუფალი: scientia ancilla metaphysicae; არც კარჩაკეტილობიდან გამოსულა; მისსა და მასებს შორის არის ზღვარი, ჩვენში დღეს მასიური სწავლებაა, კაპიტ. ქვეყნებში კი აშკარად მისდევენ მასიური უვიცობის წახალისებას, რადგან იციან რომ უვიცობა ხალხის ბორკილია.

როგორია გონებრივ მომუშავეთა მდგომარეობა კაპიტ. ქვეყნებში? ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი უმუშევრადაა; ეს კი ნიშნავს სიმშილს, უბინობას, გულისგატეხას, მეგობრების დაკარგვას და—პოლიციისათვის საეჭვო პირად გადაქცევას. საცოდავი სანახავია გაჩანაგებული, იმედგაცრუებული, ცხოვრების მიერ მოტყუებული ინტელიგენტთა მასა, რომელიც ვერ პოულობს თავისი ცოდნის გამოყენებას და ცხოვრების აზრს ამაოდ დაეძებს. საერთოდ ფატალიზმი, ფაკირიზმი, თეოსოფია, ანთროპოსოფია, ასტროლოგია, ხირომანტია, მარჩიელობა, ექიმბაშობა „წმიდანების“ და კუდიანების კულტი და ბოლოს თვითმკვლელობა ნევრასტენიის ნიადაგზე მეტად ხშირი მოვლენაა დღეს კაპიტ. ქვეყნებში. ამის მიზეზი მარხია იქაური ყოფის მეტად დახშულ და არა სალ ატმოსფეროში. ხოლო სალ და სალად ორიენტირებული ელემენტი ფატალისტურ ბოდვას არ უსმენს და პროლეტარიატთან ერთად გამოდის. ბაკალავრების ლეგიონები, სპეციალისტები, იურისტები, ექიმები—ყველანი ცხოვრობენ დღევანდელი დღის ცხოვრებით და ხვალინდელი დღის შიშით თრთიან. აი ენერგიული, ახალგაზრდა სწავლული, უფლების ლიცენციატი, რომელმაც ვერ იშოვა შესაფერი სამუშაო და გარაჟში ავტომობილებს რეცხავს ჩუმად. აი მედიცინის დოქტორი, რომელიც ლიცეიში უბრალო „პიონ“-ად (კლასის ზედამხედველად) მსახურობს. არის შემთხვევები, როცა საკმაოდ მომზადებული პედაგოგი, ხელფასის სიმცირის გამო, გარაჟში ღამის დარაჯად მუშაობს. აი ერთი ეპიზოდი მრავალთა შორის. ერთხელ ბაღში ვიჯექ და ერთ თანამედროვე ლათინურ ავტორს ვკითხულობდი. ერთი „ლუმპენ“ მომიახლოვდა, დახედა წიგნს და სუფთა ლათინური ენით მითხრა: „უკაცრავად, მაგრამ მეც ლათინურის მასწავლებელი ვარ, და ეხლა „ლუმპენად“ მაქცია კაპიტალისტურმა რეჟიმმა. მე იმ კოლეჯში ვსწავლობდი, სადაც ერთ დროს დეკარტესი სწავლობდა. გადაავგდე, მეგობარო, ეგ ლათინური, თორემ ჩემთან მოხვალ... მანამდე კი გთხოვ ხუთი ფრანკის მოწყალება გამიწიო, „acciipite excusatonem meam“. ასეთი კურიოზები მრავალია. ამის გარდა, გაღატაკებული და უბინოდ დანჩელი ინტელიგენტი პოლიციას საეჭვო პირად ყავს აღრიცხული და შეიძლება ხვალ კიდეც „დააბინაოს“; ხშირად სწორედ ასე ხდება. ამიტომ ნამდვილად პროგრესიული ინტელიგენცია თანდათან გადადის პროლეტარიატის მხარეზე; ამათ შორის ბევრი დიდი სახელის მქონე მწერალი და მეცნიერია. ევროპის პროგრესიულ ინტელიგენციაში თანდათან უფრო მტკიცე ხდება აზრი, რომ საბჭოთა სისტემა, ეს ერთა სოლიდარობის სკოლაა [illegible] ერთად ერთი საშუალებაა კაპიტალისტთა უღლისაგან თავის დასაღწევად. ამიტომ ყოველ პირველ მაისს მუშებთან მშრომელ ინტელიგენციასაც ნახავთ. პირველი მაისი კაპიტ. ქვეყნებში ცხადია არ წააგავს ჩვენს პირველ მაისს: ჩვენში ამ დღეს მუშა და მშრომელი ინტელიგენტი მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობენ. კაპიტ. ქვეყნებში კი პირველი მაისის ზეიმი ან სრულიად აკრძალულია, ან ძლიერ შეზღუდული. პირველ მაისს ბევრჯელ მინახავს ჩასაფრებული პოლიციელთა ლეგიონები, „წესრიგის“ დასაცავად; ისიც მინახავს საკუთარი თვალით, თუ როგორ აწამებენ მუშებსა და მშრომელ ინტელიგენციას ბურჟუაზიული „წესრიგის“ დამცველნი: მუსოლინმა და ჰიტლერმა ამ მაგალითების მე[illegible] მოგვაყარეს.

საბჭოთა კავშირი ერთად [illegible] ქვეყანაა, სადაც [illegible] გამარჯვებული პროლეტარიატი, მთელი მშრომელი მასა თავისუფლად ზეიმობს პირველ მაისს. პირველი მაისი [illegible] ჩვენთვის შრომის განთავისუფლებას, ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას, შრომისა და მეცნიერების კავშირს, სოციალისტურ მიღწევებს და ბედნიერი ცხოვრებით დატკბობას. ეს მოგვ[illegible] ახალი ცხოვრების ხელ[illegible] კომუნისტურმა პარტიამ, [illegible] და სტალინის პარტიამ. [illegible] ველი მაისი მთელს [illegible] გაიმარჯვებს, მაგრამ [illegible] საჭიროა მსოფლიო [illegible] რომლისკენ ასე ისწრაფვის [illegible] ქვეყნის შეგნებული მ[illegible] მსოფლიო მონობა, ან მსოფლიო ოქტომბერი. სხვა გზა არ არის.

სურათზე: სახ. უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტები, რომლებიც დაჯილდოვებული არიან „ტ.ს.უ. ფრიადოსნის“ საპატიო ნიშნით: (მარცხნიდან მარჯვნივ) მამალაძე. მენაბდე, ჭყოიძე, ჯაფარიძე, მელიქიშვილი, პირაქაძე, მელქაძე, ანთელაძე, ხუროძე, ჯობავა, ეთერია, მელაძე, ოთ. ბეროძე

ფრიადოსანთა კონფერენცია

26 აპრილს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში მოეწყო უნივერსიტეტის ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენტთა კრება.

სრულ 7 საათზე კლუბში ჩვენი უნივერსიტეტის ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენტებს თავი მოეყარათ. აქ შეყრილიყვნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები. სტალინის ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა. უნივერსიტეტის საამაყო ადამიანები. დარბაზში არაჩვეულებრივი სიხარული და ხალისი იდგა. ამ მოწინავე ადამიანების სიხარულში მთელი სიახლით ჩანდა სოციალისტური ქვეყნის ბედნიერ ადამიანთა წარმტაცი პერსპექტივა და უდიდესი შესაძლებლობანი, რომელიც მათ გააჩნიათ იმ დიდ სტალინური მზრუნველობის შედეგად, რომელსაც მათ უწევთ პარტია და ხელისუფლება. ეს ადამიანების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთიათასი სტუდენტის საუკეთესო და შერჩეული წარმომადგენლები იყვნენ,—ისინი, რომელთაც სასწავლო შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს და მიაღწიეს ფრიადოსნისა და საუკეთესო დამკვრელ სტუდენტის სახელწოდებას.

საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, შეკრების თავმჯდომარე ამხ. ბუბუტეიშვილი მოხსენებისათვის—სიტყვას აძლევს ალმასბიუროს თავმჯდომარეს ამხ. ვ. გეგეჭკორს. ამხ. გეგეჭკორი თავის შინაარსიან ვრცელ მოხსენებაში, რომელმაც ერთ საათს გასტანა, ჩერდება იმ მიღწევებზე, რომელიც მოიპოვა სახელმწიფო უნივერსიტეტმა. საუკეთესო სტალინელის, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის, ამხ. **ლავრენტი ბერიას** მეთაურობით...

ახასიათებს დამკვრელობასა და შეჯიბრებაში გამაჯვებულ ამხანაგებს როგორიცაა: ა. მამალაძე, ა. ხუროძე, აბულაძე, ვ. ურუშაძე, მ. გულაძე, ნიჟარაძე, ნ. ყურუა, რომელთა დასახელებას აუდიტორია ოვაციით უპასუხებს. მომხსენებელი ჩერდება აგრეთვე იმ დეფექტებზედაც რაც ჯერ კიდევ აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ფრიადოსან სტუდენტებს შორის და საერთოდ სტუდენტთა შორის მუშაობაში.

ამხ. გეგეჭკორი აღნიშნავს რა სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო რეჟიმისა და დისციპლინის გამტკიცების საქმეში მოპოვებულ ერთგვარ წარმატებას, აქვე ის ხაზს უსვამს ჯერ კიდევ უდისციპლინობის არსებობას სტუდენტთა შორის, რომლებიც თავიანთი ხშირად უდისციპლინო მოქმედებითაც სახელს უტეხენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

მომხსენებელი, ჩერდება რა სასწავლო ორგანიზაციის სტუდენტთა დასწრების საკითხებზედ, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გადიდდა გაცდენა. პრაქტიკუმების მოხსნა ზოგი ამხანაგის მიერ გაგებულ იქნა, როგორც ლექციებზე სტუდენტის დასწრების თავისუფლება. რის შედეგადაც სწავლის ხარისხი შესუსტდა. მომხსენებელი აგრეთვე გაჩერდა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობებში არსებულ დეფექტებზედაც.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო: ბენიტო ბუაჩიძემ (ლიტერატურული ფაკ. დეკანი) ა. მირცხულავამ (უნივერსიტეტის კ. კ. კომიტეტის მდივანი). ბეროძე სერგომ (ეკ. ფაკ. დეკანი), ბეროძე ოთარმა (ფრიადოსანი სტუდენტი) და სხვ.

მოკამათეები აღნიშნავდენ რა იმ ერთგვარ წარმატებას, რომელიც მოპოებულია სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო მუშაობის ხაზით, ისინი უმთავრესად ჩერდებოდენ დეფექტებზე. მოკამათეები დეფექტად აღიარებდენ, რომ ჯერ კიდევ სოცშეჯიბრების ვალდებულებათა შემოწმება ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ არის სასწავლო დისციპლინებში სახელმძღვანელოები. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა რატომღაც ნაკლები რიცხვით სცემს სახელმძღვანელოებს. მიუთითებდენ ცხრილის ცუდ განაწილებაზედ (ხშირია ფანჯრები და სხვა). საყოფა-ცხოვრებო პირობებში აღინიშნა, რომ ფრიადოსანი სტუდენტები სხვებისაგან არ განირჩევიან. სტუდენტთა გათანაბრების ტენდენცია—ფრიადოსანი, რომელსაც ერთი ოთხი ურევია, გათანაბრებულია სუსტ სტუდენტებთან. იგი იმავე მინიმუმს იღებს სტიპენდიისას, როგორც სუსტ ნიშნიანი სტუდენტები, რის გამოსწორებაც კონფერენციამ აუცილებელ საქმედ დასახა.

ხშირად ლექტორების მიერ ადგილი აქვს ნიშნების დასმაში არაობიექტურ მიდგომას, მათ ლიბერალიზმთან ბრძოლა გაიგეს, როგორც ნიშნების ხელოვნურად დაწევა. (ერქომაიშვილი და სხვა).

ეს კრება საქმიანი კრიტიკით ჩატარდა, დასახული იქნა მთელი რიგი ღონისძიებისა, სხდომის დასასრულს პრეზიდიუმის მიერ დარიგებულ იქნა ფრიადოსან სტუდენტებზე სპეციალური ნიშანი: „ტ. ს. უ. ფრიადოსანი“ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი ამხ. ს. გეგენავა და ფაკულტეტის დეკანები. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი მოწვეულ ძალებით.

რით მოვედით სტახანოველთა დღესთან

სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდვა იმ პირობების შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადებულ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით კიევის, ბაქოს და ერევნის უნივერსიტეტებთან. კონკრეტულად ამ მხრით გაკეთებულია შემდეგი:

სასწავლო პროცესის თვისობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესების მიზნით, კათედრის სხდომაზედ 9-ჯერ არის მოსმენილი თითეული საგნის ხელმძღვანელის მოხსენება ამა თუ იმ დისციპლინის სწავლების მიმდინარეობის შესახებ და 4-ჯერ არის მოსმენილი კათედრის გამგის მოხსენება მის მიერ კათედრის წევრთა ლექციებზე დასწრების შედეგების შესახებ (თითოეულ საგნის ხელმძღვანელს თვეში ორჯერ უხდებოდა მეცადინეობაზე). ამ მოხსენებათა საფუძველზე კათედრას გამოჰქონდა კონკრეტიულ დადგენილებანი შემჩნეული დეფექტების გამოსწორებისათვის.

ამა თუ იმ საგნის სწავლების სპეციფიკურ პირობებთან შეფარდებით კათედრამ დაამუშავა კონკრეტული მეთოდიკური მითითებები წამყვან საგნებზე და ზოგადი კონკრეტული მითითებები დანარჩენ საგნებში. კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგნის ხელმძღვანელთა მიერ ლექციების მომზადების მეთოდიკის დაუფლებას და ლექციების კითხვას გამართული ქართული სალიტერატურო ენით. ურთიერთისათვის ამ მხრით დახმარების მიზნით, შემოღებულია კათედრის წევრთა ურთიერთ დასწრება მეცადინეობაზე. ამ კითხვების განხილვა მოხდა 5-ჯერ სპეციალურად და მსჯელობის საგანი იყო კათედრის ყოველ სხდომაზე სწავლების პროცესის მიმდინარეობის შემოწმებასთან დაკავშირებით. კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთათვის დახმარებას წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობის ორგანიზაციაში და კონსპექტების შედგენაში. ამ მხრით კათედრამ შეიმუშავა ზოგადი მეთოდიკური მითითებები და მისი წევრები ყოველთვიურად სპეციალურ საუბრებს ატარებდენ სტუდენტებთან ამ საკითხებზე, ამა თუ იმ საგანზე მუშაობის სპეციფიკასთან შესაბამისად. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ფრიადოსან სტუდენტთათვის დახმარება. მათთან ერთად კათედრამ დაამუშავა კონკრეტული ღონისძიებები სტუდენტის სასწავლო პრაქტიკაში სტახანოვურად მუშაობის შესახებ და მათი პრაქტიკულად გატარების ორგანიზაციისათვის მოიწვია კათედრასთან ფრიადოსან სტუდენტთა სპეციალური თათბირი. ეს კავშირი მათთან სისტემატიურად გრძელდება. სტუდენტთა აკადემიურ-კულტურული დონის ამაღლების მიზნით, კათედრამ ჩამოაყალიბა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც უკვე 10 სხდომა ჰქონდა. ამ წრეში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ სტუდენტები შეეჩვიონ მოხსენების დამუშავებას, აზრის ამოთქმაში დროთა რეგლამენტაციას და კამათის კულტურას.

კათედრის ყველა წევრი ჩაბმულია სამეცნიერო-საკვლევო მუშაობაში და მათთვის დამტკიცებულია დასაწერად 1[illegible] თემა, რომლებიც შესრულებული იქნება 1 ივნისისათვის. ამას გარდა იწერება სამი სახელმძღვანელო ძირითად საგნებში უნივერსიტეტისათვის მიღებული პროგრამით და ისინი გადაეცემა დასაბეჭდათ გამომცემლობას ორი პირველ ივნისამდე და 1 პირველ სექტემბრამდე. ამით ძირითადათ დამთავრებული იქნება კათედრის მუშაობა ქართულ ენაზე ძირითად საგნებში სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ.

ერთი თვე არის, რაც კათედრა შეუდგა 1936—37 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების გადამუშავებას სტახანოვური მოძრაობასთა წამოყენებულ ამოცანებთან შესაბამისად. გადამუშავებული პროგრამები 29 აპრილს გადაეცემა სასწავლო ნაწილს. ასპირანტების ხელმძღვანელობისა და ასისტენტის მუშაობის საკითხებს კათედრა ისმენდა სისტემატურად. კითხვები ამის შესახებ იდგა კათედრის 8 სხდომაზე. ამ მხრით ერთნაირი მიღწევები გვაქვს და ორი ასპირანტი მივლინებულია მოსკოვში დისერტაციაზე სამუშაოთ.

კათედრა ფართო მუშაობას ეწეოდა უნივერსიტეტს გარეშე და დახმარებას უწევდა აღრიცხვის ორგანოებს და ტფილისის აღრიცხვის ტექნიკუმს მათ მუშაობაში.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს საკითხები კათედრის ყურადღების ცენტრში იდგა, მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ნამდვილ ძირითად რგოლად გადაიქცეს.

სახ. სამ. აღრ. კათედრის გამგე პროფ. **ჩახვაძე**.

რით მივაღწიე წარმატებას?

ვარ სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ყველა საგნებში მაქვს „ფრიადი“. ამ წარმატებებს მივაღწიე გულისხმიერი და ენერგიული მუშაობით. არც ერთხელ უმიზეზოთ არ გამიცდენია ლექცია. ლექციების მსვლელობის პროცესში ვუსმენ გულდასმით პროფესორს და ვიწერ საკვანძო საკითხებს. მე მყავს ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც მთელ ენერგიას ანდომებენ ლექციების მექანიკურად ჩაწერას, მაგრამ მე ამგვარი მუშაობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ.

წაკითხულ თემებს ვამუშავებ პროგრამაში მითითებულ ლიტერატურის მიხედვით. სათანადო ლიტერატურის დამუშავების შემდეგ ვადგენ მთლიან კონსპექტს. ჩემ კონსპექტებში ჩამოყალიბებულია ამა თუ იმ თემის დედა აზრი.

ვმუშაობ სამეცნიერო წრეში. ვღებულობ მონაწილეობას წაკითხული მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში. სამეურნეო სამართლის წრეში წავიკითხე მოხსენება თემაზე „ვალდებულებითი სამართალი“, რომელიც შეფასებულ იქნა „ფრიადზე“. ამჟამად ვემზადები სესიებისათვის.

აკადემიურ მუშაობასთან ვათავსებ საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ მუშაობასაც. ამ უკანასკნელ დრომდე ვმუშაობდი ფაკულტეტის პროფორგანიზაციაში. ვასრულებ კომკავშირის ყოველგვარ დავალებებს, ვმეცადინეობ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შემსწავლელ წრეში და ვითვლები პოლიტსწავლების ფრიადოსნად.

ელისე ქანუყვაძე.

სანიმუშო ჯგუფი

78 ჯგუფი (III კ.) სამართლის ფაკულტეტზე ითვლება მოწინავე ჯგუფად, როგორც აკადემიურ მომზადების დარგში, ისე შრომის დისციპლინის საქმეში. გასულ სემესტრში სესიების შედეგად, 24 სტუდენტიდან 9-ს ყველა საგნებში ქონდა „ფრიადი“ და „კარგები“. ჯგუფში არ გვყავს არც ერთი სუსტი სტუდენტი. აკადემიურ დარგში თვალსაჩინო მაჩვენებლებს იძლევიან: **ი. დოლიძე, თ. მეზურნოვი, მ. ხვინგია, ხ. ჯაფარიძე** და სხვ.



სახ. უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი ბუბუტეიშვილი

ჯგუფის სამკუთხედმა თავის დროზე გაშალა მუშაობა სესიებისათვის მაღალ მაჩვენებლებით შესახვედრად.

შემოღებული გვაქვს საგნებზე ჯგუფური მუშაობა, რომელშიაც 2—3 სტუდენტია. ჯგუფში ერთი ძლიერი სტუდენტი მაინც არის. ჯგუფებში ხდება გაშინჯვა ლექციებიდან ჩაწერილების და სახელმძღვანელოებიდან დაკონსპექტებულ მასალის. მუშაობის ასეთმა პრაქტიკამ პირველ სემესტრში სასურველი შედეგი მოგვცა. ჯგუფის სამკუთხედმა დროულად გაითვალისწინა სექტემბრისათვის გადადებული საგნების მომზადების საქმე. ამიტომ დასახელებულ ცალკეულ ჯგუფებში ხდება მომზადება დაკონსპექტებული მასალებისა, რომელთა მიხედვით სტუდენტები ზაფხულში დაამზადებენ გადადებულ საგნებს. აღსანიშნავია პროფ. **ალ. ვაჩეიშვილის** მუშაობა სტუდენტთა ცოდნის ამაღლებისათვის. იგი სისტემატიურად სინჯავს სტუდენტების კონსპექტებს და იძლევა სათანადო მითითებებს გაუგებარ საკითხების შესახებ.

შ. ხუხუა.

ალ. ანდრონიკაშვილი.

სახუნტის მუშფაკის სამხედრო ფიზკ. ხელმძღვანელი

სამხედრო—ფიზკულტურული მუშაობა მუშფაკში

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკმა ფიზკულტურულ მომზადების საქმეში შესძლო მოეპოვებია სათანადო მიღწევები.

ასე მაგ: სამხედრო სამწყობრო ჩვევებს დაეუფლა სტუდენტთა მთელი შემადგენლობის 90 პროც. „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნორმები ჩაბარებული აქვთ 100 კაცს. დამატებით უნდა ჩააბაროს 60 კაცმა. მუშფაკს ყავს 62 ვოროშილოვისებური მსროლელი სტუდენტი. მზად ვარ საჰაერო ქიმიური თავდაცვისათვის ნორმები ჩაბარებული აქვს 320 სტუდენტს. დამატებით მოკლე ხანში ჩააბარებენ 160 კაცი.

წელს უნივერსიტეტის მუშფაკის სტუდენტთა სამხედრო ტექნიკურ და ფიზკულტურული მომზადება შეფასებულიქნა „ფრიადზე“.

სამხედრო ტექნიკურ მომზადებასთან ერთად მუშფაკში ფართოდაა გაშლილი საწრეო მუშაობა. თვითმოქმედი წრეები მუშაობის საუცხოვო მაგალითებს იძლევიან.

მუშფაკს ყავს საუკეთესო მუსიკოსები, მოცეკვავენი და მხატვრები. ქართულ ჭიდაობის შემსწავლელ წრეში ჩაბმულია 400 მსმენელი. მეცადინეობა სწარმოებს ორი თვეა. მსმენელთა უმრავლესობამ საუკეთესოდ აითვისა ქართული ჭიდაობის ტექნიკა. განზრახულია მოკლე ხანში ჩატარდეს ქართული ჭიდაობის სპარტაკიადა. ჩატარდა მეშაშების და მოჭადრაკეების შეჯიბრი, რომელშიც საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს ამხ. **დ. ქორიძემ, შანგუამ, მამამთავრიშვილმა, განჩაროვამ, ლობაცანიძემ** და სხვ. ორჯერ მოეწყო გადარბენა, სადაც მუშფაკმა სკოლებს შორის მეორე ადგილი დაიკავა.

მუშფაკს ყავს საუკეთესო ძალოსნები **ტაგანაშვილი, მამახაშვილი და შოშიაშვილი.** გვყავს ფიზკულტურულ მომზადების ფრიადოსნებიც. ასეთებია: ტატიაშვილი (ინსტრუქტორი), მარო ნაცვლიშვილი, განჩაროვა, ქიაბრიშვილი, კვიტაშვილი, ჯამატაშვილი, ჩიბუხაშვილი, სესიტაშვილი, დუმბაძე და სხვ.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა მუშფაკს აქვს ამ მხრივ სათანადო ნაკლიც მაგ: ფიზკულტურულ მომზადებას გაურბიან ნაწილი ქალებისა და ზოგიერთი ვაჟებიც, განსაკუთრებით ეს ითქმის უკანასკნელ კურსის სტუდენტებზე. არსებობს ზოგიერთი ტექნიკური მიზეზებიც.

მუშფაკის ადმინისტრაციისა და სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების ხელმძღვანელების მოვალეობა არის ამ დეფექტების დროულად აღმოფხვრა.

აბგარ ყაზაროვი

ასო ეცემა საბწკრეს, ასოთამწყობის მარჯვენა ხელი წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობს. ცოტა უფრო მოშორებით ვებერთელა საბეჭდი მანქანა დაჭრილ მხეცივით რახრახებს. 4 პუნქტიანი სიტყვის გამყოფი და ორ პუნქტიანი შპაცები ხელიდან ხელში გადადის. ელნათურებიდან სინათლე გამოკრთის. „შპონები“ ხდება მესაზღვრე ცალკე სტრიქონებისა. გულუხვი კასები ბლომად იძლევა ასოებს: ციცერო, პეტიტი, კორპუსი, მთავრული, შავი, თეთრი, რომელი გპირდებათ ყველა სახის ასოს მიიღებთ კასისაგან. საბწკრე ივსება, გრამკაზე სვეტები იკვრება; დღეში 14,000 ასო უნდა ააწყოს ამ სწრაფად მოძრავმა ხელმა. ასეთია მასზედ მიცემული გეგმა.

მაგრამ განა გეგმის შესრულება აკმაყოფილებს აბგარ კაზაროვს?

მან იცის, თუ რა ფასი აქვს საბჭოების ქვეყანაში შრომას. თუ რა ღირსება და პატივისცემა აქვს ადამიანს, რომელიც ენერგიულად მუშაობს. ამიტომაა რომ იგი ყოველთვის მოწინავე მუშების რიგებში იდგა.

სად შეუძლია აბგარს ჩამოთვალოს ის, თუ მას რამდენჯერ მიუღია ბეჯითი მუშაობისათვის სათანადო ჯილდო. რამდენჯერ ყოფილა გაკრული მისი სახელი და გვარი წითელ დაფაზე. მაგრამ ამ ჯილდოებს, მადლობას, წითელ დაფას არასოდეს არ დაუკარგავს მის თვალში ფასი.

— ჯილდოს სახით ჩემზე მიცემული თითოეული კაპიკიც კი ჩემში განუზომელ სიხარულს იწვევს, ერთი ორად ზრდის ჩემს ენერგიას, თავდადებასა და სიყვარულს შრომისადმი—განაცხადა მან.

— ეჰ ბედშაო ჩემო თავო, —ნაღველიანი ხმით გვითხრა თმა შევერცხლილმა მოხუცმა—ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი გზა იმ შავმა წლებმა წაიღო, როდესაც საქართველოს მშრომელებს მაჯლაჯუნასავით გულზე ეწვა მეფის რუსეთის პარაზიტთა ხროვა.

გასაბჭოებამდის ის მუდამ არა ადამიანურად ცხოვრობდა. სტალინის პარტიის გამარჯვების შემდეგ სრულიად შეიცვალა მისი ცხოვრების პირობები.

— მე ჩემი დაბადების თარიღად ვთვლი 1921 წელს. მანამდე ჩემი ცხოვრება ტანჯვა და წვალება იყო. მე მიხარია, რომ ასეთ ბედნიერ ეპოქაში ვცხოვრობ. მინდა რომ დიდხანს ვიცოცხლო.

აბგარ კაზაროვი უნივერსიტეტის სტამბის სული და გულია. მოწინავე მუშა. მის მიერ გეგმის შესრულების მაჩვენებელი 150—160 პროც. ნაკლები არ ყოფილა, მას ამჟამად თავის ერთგულ და ენერგიულ ამხანაგ დავით ჩირაძესთან ერთათ, ხელი-ხელ ჩართულნი, შურდულისებური სიჩქარით აწყობენ დიდ და მრავალგვერდიან „რუსულ-ქართულ ლექსიკონს რომელიც უნდა გამოვიდეს ამხ. ტოროშელიძის რედაქტორობით ა/წლ. ივნისში, რაზედაც ორივეს არ შურთ მთელი თავიანთი ძალ-ღონე წიგნის დროზე გამოშვებისათვის.

აბგარ ყაზაროვმა კარგად იცის ადგილობრივი ენები და პატარაობიდან აქვს შესწავლილი პოლიგრაფიული ხელოვნება, იგი ითვლება თბილისში უმაღლესი კვალიფიკაციის ას.-ამწყობათ, რომელსაც თავის ახალგაზრდობიდან დაწყებული დღემდე 500-მდე მოსწავლე ჰყავს გაზრდილი. მისი მოწაფეები ამჟამად საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშაობენ: სტამბის დირექტორებად პოლიგრაფტრესტში. მისი ერთი მოწაფე-რამან მანდრიკი უნივერსიტეტის სტამბის დირექტორია.

საგრძნობლად გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები აბგარ კაზაროვმა: მას დღეს საუკეთესო კულტურულად მოწყობილი ბინა უჭირავს. სამი ქალიშვილი საკმაოდ განათლებული ისე დაათხოვა, რომ მის ოჯახს არაფერი დანაკლისი არ განუცდია.

უყვარს აბგარს ეს ეპოქა. უყვარს პროლეტარიატის ხელისუფლება და მისი ბელადი ამხ. სტალინი. უყვარს უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი თავი. იგი განსახიერებაა საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო მშრომელის ყველა თვისების. სიხარულით ხვდება კაზაროვი I მაისს, მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლისა და სიხარულის დღეს.

ს. გამრეკელიძე.

სიამოვნებით ვხვდები პირველ მაისს

19 წელია რაც წარმოებაში ვმუშაობ. ამჟამად ვარ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის მბეჭდავი და ელექტროტექნიკოსი. მუშაობის დაწყების დღიდან ყოველთვის მოწინავე მუშა ვიყავი და დღესაც შენარჩუნებული მაქვს ეს საპატიო სახელწოდება.

ენერგიული მუშაობა ყოველთვის დამიფასა ხელისუფლებამ. მრავალჯერ მიმიღია ჯილდო, მადლობა... ჩემი სახელი და გვარი ბევრჯერ ყოფილა გაკრული წითელ დაფაზე: ჩემი ხელფასი 600—700 მანეთამდე აღწევს თვეში. ამ ფულით მე საუცხოვოდ ვცხოვრობ ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისაგან არაფერი მიმიღია, მე დამოუკიდებლად შევძელი ჩემი ოჯახის ნორმალურად მოწყობა. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ იმ ეპოქაში, რომელიც შექმნა საყვარელმა ბრძენმა ბელადმა ამხ. **სტალინმა**. საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლისა და გამარჯვების დღეს—პირველ მაისს—მე ვხვდები ახალ-ახალი გამარჯვებებით.

ვ. თეთრაძე.



მათემატიკის მეცნიერების დოქტორი მოწინავე ლექტორი ლ. გოკიელი.

ფიზიკო-მათემატიკის დირიქტორი საუკეთესო დოქტორი ვ. კუპრაძე

ამხ. ივანე იოსების ძე ბეგლაროვი

რომელმაც ვადამდე ფრიადზე დაამთავრა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტი და როგორც აკადემიურად მოწინავე და ენერგიული სტუდენტი დატოვებულ იქნა ასპირანტათ სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრასთან. ივანე ბეგლაროვის მიერ სადიპლომო შრომად დაცულ იქნა „მეტყველების გენეზისი“. კომისიამ ბეგლაროვის შრომა შეაფასა ნიშნით „ფრიადი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჯამაგირეობიდან მეცნიერების დაუფლებისაკენ

როდია ტყუილი, როცა ამბობენ, რომ წითელარმიაში ყოფნა სკოლააო, ეს მართალია. მე პირადად დაწყებითი სწავლა სახელოვან მუშურ-გლეხურ „წითელარმიის რიგებში ყოფნის დროს მივიღე.

თვითმპყრობელობის და შემდეგ მენშევიკების ბატონობის დროს ჩემთვის და ჩემისთანებისათვის სკოლის კარები დაკეტილი იყო. ჩვენი ხვედრი მძიმე და აუტანელი შრომა იყო მადაგალვიძებულ კულაკების ხელში.

1917 წლიდან 1924 წლამდის მოჯამაგირეთ ვიყავი კულაკებთან და 1924 წლის დასასრულ ლენინურ კომკავშირის ორგანიზაციამ გამოსტაცა ჩემი თავი კულაკის ბრჭყალებს.

1925 წლიდან კომკავშირის ორგანიზაციამ შემაჩვია ორგანიზაციულ მუშაობას და 1927 წელს, როცა გამიწვიეს წითელარმიის რიგებში, იქაც აქტიური მუშაობის შემდეგ მომანდეს კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და ამირჩიეს კომკავშირის ბიურო-კოლექტივის წევრად.

წითელარმიაში ყოფნის დროს (1927—29 წ.) დავიმსახურე კარგი წითელარმიელის სახელი და დივიზიის პოლიტგანყოფილებამ გამგზავნა ტფილისის პედაგოგიურ მუშფაკში სასწავლებლად. აღნიშნულ მუშფაკში შესდგა ძლიერ მოსწავლეებისაგან დამკვრელთა ჯგუფი და მეც, როგორც მოწინავე მოსწავლე, გადამიყვანეს აღნიშნულ ჯგუფში და ოთხი წლის ნაცვლად, ენერგიული მუშაობით, დავამთავრე სამ წელში.

ახლა ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტის მესამე კურსზე და ვითვლები მოწინავე სტუდენტად, საშუალო ნიშანი უდრის $4^1/_2$-ს. სწავლასთან ერთად შეთავსებული მაქვს პარტმასიური მუშაობა, გამოყოფილი ვარ ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის პარტორგანიზატორად, პარტპოლიტწრის პროპაგანდისტად და ვღებულობ პარტიული კომიტეტიდან ერთდროულ დავალებებს. მთელი ჩემი დრო მაქვს დაგეგმილი და გეგმიანობით მუშაობის საფუძველზე ზემოაღნიშნულ სამუშაოებს ვასრულებ კარგად.

რაც მთავარია პროპაგანდისტისათვის, ვმუშაობ ლენინის და სტალინის წიგნებით და პროპაგანდისტულ მუშაობაში ვიყენებ მხატვრულ ლიტერატურას, ვიყენებ რუქებს და სხვა. სისტემატურად ვესწრები პოლიტწრის სემინარებს და არ გამიცდენია წრის მეცადინეობა. ვეცდები კიდევ უფრო მეტად ავამაღლო ჩემი ცოდნის დონე მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძველზე ვატარო საუკეთესო სტუდენტისა და პროპაგანდისტის სახელი.

გ. გოზალიშვილი.

ტ. ს. უ. ბიბლიოთეკაში ვმუშაობ 1925 წლიდან

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობა რომ დავიწყე, საბიბლიოთეკო საქმეს სრულიად არ ვიცნობდი. სამუშაომ-კი ძალიან დამაინტერესა. თანდათან ვიწყე ტექნიკის დაუფლება. უნივ. პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის (სიტყვიერების) დარგის დამთავრების შემდეგ კიდევ მეტი ხალისით განვაგრძობდი საბიბლ. მუშაობის შესწავლას.

1930 წელს დავამთავრე საბიბლიოთეკო კურსები. პრაქტიკა კარგია მაშინ, როდესაც საფუძვლად უძევს თეორია. საბიბლიოთეკო ლიტერატურას მუდამ თვალ-ყურს ვადევნებ—დავამუშავე და წავიკითხე სამი მოხსენება ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტში, ზოგჯერ მიხდება ლექციების კითხვა საბიბლიოთეკო კურსებზე, ვარ მეც. მუშაკთა სექციის წევრი.

პერიოდიკის განყოფილების გამგის თანამდებობაზე 6 წელიწადია ვმუშაობ. ჩვენი პერიოდიკა ძალიან მდიდარია თავისი გამოცემებით. გვაქვს 350 სახელწოდების ქართული, 2.500 სახელწ. რუსული და 1400 სახელწ. უცხო ენებზე დაბეჭდილი ჟურნალები და სერიალური გამოცემები: საერთო რაოდენობა 100.000 ერთეულს აჭარბებს. გვაქვს საკმაოდ მდიდარი საგაზეთო ფონდი. ვამუშავებთ 3 სახის კატალოგს. ახლად შემოსულ პროდუქციას დაუყონებლივ ვამუშავებთ.

ჩემ მუშაობაზე დიდი გავლენა მოახდინა სტახანოვურმა მოძრაობამ—ძველ ნორმებით როგორ დავკმაყოფილდები, როდესაც ჩვენს დიდ ეპოქაში—სტალინის დიდ ქვეყანაში—გიათკეცდება შრომის ხალისი და ენერგია. ბოლო თვეებში ნორმას გაორკეცებით ვასრულებთ როგორც მე, ისე პერიოდ. განყ. თანამშრომელი მ. ცისკარიშვილი.

პირველ მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს მეც დიდი სიხარულით ვეგებები. ვიცი რა, რომ სამეცნიერო მუშაობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება, დავამთავრე მეცნ. მუშაკთა სექციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი.

საკვლევ-სამეცნ. მუშაობის ხაზით პირველ მაისისთვის გადასვცემ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტს ჩემს ნაშრომს „**პერიოდიკის ინვენტარიზაცია, დაწყობა და ერთეულის საკითხი პერიოდიკაში**" დასაბეჭდად მოცულობით 2 ნაბეჭდ. ფორმას.

ტ. ს. უ. პერიოდიკის განყ. გამგე—**ტ. კასრაძე.**

სახ· უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფიის მოწინავე მუშები: ა. ყაზაროვი, ვ. თეთრაძე, ვ. მეტრეველი და ტ. სუხიშვილი.

პროფ. მიხ. ზანდუკელი—ლიტერატურის ისტორიის მეცნიერების დოქტორი

17 აპრილს სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში **მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელმა დაიცვა** საჯაროდ სადოქტორო დისერტაცია: „ხალხოსანი მწერლები ქართულ ლიტერატურაში".

ოფიციალური ოპონენტებად გამოვიდნენ პროფესორები **კ. კეკელიძე** და **გ. ნათაძე**. აუდიტორიიდან კამათში გამოვიდნენ ამხ. **ვლადიმერ ახათიანი** და **გ. აბზიანიძე**.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის საბჭომ პროფ. მიხეილ ზანდუკელის სადოქტოროდ წარმოდგენილი შრომა და მისი საჯაროდ დაცვა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და ამხ. ზანდუკელს **მიანიჭა ლიტერატურის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.**

სადისერტაციო შრომის დაცვას დაესწრო დიდძალი მაყურებლები კამათმა და დაცვამ ცხოველ-მყოფელი ინტერესი გამოიწვია.

პროფ. მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი დაიბადა 1889 წელს 14 ოქტომბერს სოფ. არანისში (დუშეთის რაიონი). ქართული გიმნაზია დაამთავრა 1909 წლ. იმავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის რუსული ენის და ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1913 წელს.

პროფ. ზანდუკელი მუშაობდა მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სკოლის დირექტორად, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მდივნად და სხვ.

1926 წელს მოწვეული იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტში სადაც კითხულობს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

1933 წლიდან დანიშნული იქნა ახალ ქართულ ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ—დღემდის ხელმძღვანელობს.

1933 წლიდან მოწვეული იქნა შოთა რუსთაველის სახელობის საკვლეო ინსტიტუტში უფროსი მეცნიერული მუშაკის თანამდებობაზე, სადაც მუშაობს დღემდის.

1934 წლიდან შეთავსებით კითხულობს ახალ ქართულ ლიტერატურის ისტორიის კურსს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

პროფესორ მიხეილ ზანდუკელს გამოქვეყნებული აქვს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი წერილები მისივე რედაქციით შენიშვნებითა და წინასიტყვაობით გამოსულია რამდენიმე თხზულებანი.

მასვე გამოცემული აქვს ცალკე წიგნებად:

1) ესთეტიური აღზრდა შრომის სკოლაში. 2) ალ. ყაზბეგის ორიგინალობა და დიმ. ყაზბეგი. 3) ალ. თუ დიმიტრი ყაზბეგი. 4) თერგ დალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში. 5) ახალი ქართული ლიტერატურა (ტომი პირველი). 6) ახალი ქართული ლიტერატურა (ტომი 2). 7) ხალხოსანი მწერლები ქართულ ლიტერატურაში. 8) ქართული ლიტერატურის მეთოდიკა. გარდა ამისა გადაცემული აქვს რამდენიმე შრომა, რომელიც უახლოეს დროში დაიბეჭდება.

ვიმუშაოთ საკუთარ თავზე

ამხ. კოსარევი საკ. ა. ლ. კ. კ. მე-X ყრილობაზე სტუდენტ ახალგაზრდობისაგან მოითხოვდა „**ცოდნის წარმატებით დაუფლებას**", რასაც თვითეულმა ჩვენგანმა მეცნიერებათა შესწავლაში თავდადებული, თანმიმდევარი და სერიოზული მუშაობით უნდა უპასუხოს.

ახლა ჩვენს უნივერსიტეტში სწავლა უფრო საამური და ხალისიანი გახდა. ფრიადოსანი-წარჩინებული სტუდენტი ცენტრალურ ფიგურად იქცა. გაიზარდა მოთხოვნილება ყოველ სტუდენტისადმი და მით უფრო ყოველ ფრიადოსან სტუდენტისადმი. რაც უნივერსიტეტში ვსწავლობ არც ერთ საგანში არ მქონია სხვა ნიშანი გარდა ფრიადისა, მაგრამ სემესტრიდან სემესტრამდე, კურსიდან კურსამდე ყოველთვის ვიბრძოდი შემენარჩუნებია ეს წარმატება, გამემტკიცებია ის და მასთან კიდევ უფრო მეტი ენერგიით გამეღრმავებია ჩემი ცოდნა, ფრიადოსნურად დავუფლებოდი ახალ დისციპლინებს.

საკუთარ თავზე მუშაობას ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდი. ჩემს დამოუკიდებელ მუშაობაში ფართოდ ვიყენებ კვლევით მეთოდს. ყოველთვის ვცდილობ ძირითად საგნებზე მუშაობის დროს მასალა დამოუკიდებლად ავითვისო, ეს მუშაობა იწყება ლექციის დროს საკვანძო საკითხების ჩანიშვნით და მთავრდება პირველ წყაროებზე მეცადინეობის შედეგად კონსპექტის ან თეზისების შედგენით. დიდათ ხელს მიწყობს რუსული ენის ცოდნა, ეს საშუალებას მაძლევს გავეცნო უახლოეს მონაცემებს ეკონომიურ მეცნიერებაში. ხშირად, დამოუკიდებლად ვამუშავებ ცალკეულ თემებს. მაგალ., ვმუშაობდი ი. ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებებზე და სხვ.

ძირითად სახელმძღვანელოთ მთელს ჩემს მუშაობაში იყო და არის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომები, რომლებიც რამდენჯერმე მაქვს წაკითხული. ჩემს სტუდ. ბიბლიოთეკაში გარდა ამ წიგნებისა არის მხატვრული სიტყვის **კლასიკოსები**, რომლებსაც სისტემატურად ვკითხულობ და სხვ.

დამოუკიდებელი მუშაობის სწორი ორგანიზაცია წარმოუდგენელია აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გარეშე. ვცდილობ ისინი ყოველთვის შევათავსო ერთმანეთთან. მონაწილეობას ვღებულობ სამეცნიერო წრების მუშაობაში (მოხსენება, კამათი). ვეხმარები ცალკეულ ამხანაგებს, ვუზიარებ მათ ჩემს გამოცდილებას. გარდა ამისა ვმუშაობ ეკონ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. პოლიტ-აღმზრდელობითი დარგის ორგანიზატორად და პროპაგანდისტად. ეს მზრდის იდეურ-პოლიტიკურად და აცხოველებს ჩემს აკადემიურ მუშაობას.

ჩემი საბრძოლო ამოცანაა მიმდინარე სემესტრის შედეგადაც შევინარჩუნო ფრიადოსანის საპატიო სახელი, არ მივეცე თვითკმაყოფილებას და ჩემი სადიპლომო შრომა ქართულ „ლეგალური მარქსიზმის" ეკონომიური შეხედულებების შესახებ (ხელმძღვ. გ. ჯანელიძე) დავიცვა ფრიადზე.

ოთ. ბერიძე.

(ეკ. ფაკ. თეორიული ეკონომიის განყ. მე-IV კ. სტუდენტი).

პოლიტწრე რომელიც იბრძვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

პოლიტწრე № 69 (ისტორიის ფაკულტეტი ფილოსოფიური პირველი კურსი) ჯერ კიდევ გასულ წლის ნოემბერში ჩაება შეჯიბრში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. პოლიტსკოლამ აიღო ვალდებულება—უზრუნველყოს პოლიტმეცადინეობაზე მსმენელთა 100%-იანი დასწრება, დაამუშაოს მითითებული მასალა და უზრუნველყოს ყველა მსმენელთა მიერ კონსპექტების შედგენა ყველა თემისათვის. რაც აუცილებელი იყო ათვისების მაღალი ხარისხისათვის.

პროპაგანდისტმა ამხ. კარლო მაცაბერიძემ მუშაობის დასაწყისშივე უჩვენა ნიმუში პოლიტსკოლის მსმენელებს, თუ როგორ უნდა თემის დამუშავება და კონსპექტის შედგენა. გამოცდილების გაზიარების მიზნით მან თითონ წაუკითხა მსმენელებს მის მიერ შედგენილი კონსპექტი, რამაც დიდი დახმარება გაუწია პოლიტსკოლაში გაერთიანებულ მსმენელებს.

პროპაგანდისტი ყოველ მეცადინეობაზე ამოწმებს მსმენელების მიერ შედგენილ კონსპექტებს და ახდენს სანიმუშო კონსპექტების გარჩევას. მაგალ. გარჩეულ იქნა კონსპექტები: ამხ. ალ. თამაზოვის, იოსებ ბერიაშვილის, სერგო შონიასი, ნიკო ხიზანიშვილისა და სხვ. მაგრამ პოლიტსკოლაში არიან ისეთი მსმენელებიც, რომელნიც კონსპექტის შედგენას საჭიროდ არ სცნობენ „კონსპექტი ჩემი თავია"—ასე განაცხადა ამხ. ბალაშვილმა.

არის ისეთი მსმენელიც, რომელიც სულ „შვებულებაშია" და ხშირად აკლდება და უარს აცხადებს პასუხზე (აბსავა ლეონტი). პოლიტსკოლის სანიმუშო მსმენელები არიან: თამაზოვი, გავაშელი, ს. შონია, ა. შონია, ხიზანიშვილი, ბერიაშვილი, გამრეკლიძე და სხვები.

მოწყობილ იქნა კოლექტიური ექსკურსია ამხ. ბერიას მოხსენების ღრმად შესწავლის მიზნით საქართველოს მუზეუმში, სადაც დემონსტრირებულია მასალები ამხ. ბერიას მოხსენებიდან და 1905 წლის რევოლიუციიდან მოეწყო კოლექტიური ექსკურსია ტეკას პარტკაბინეტში. კოლექტიურად ნახეს სურათი „ჩვენ კრონშტატიდან ვართ" „უკანასკნელი მასკარადი", „პეპო", „დობილები" და სხვ. პოლიტსკოლა აწყობს შეხვედრას ძველ ბოლშევიკ ამხ. არაქელა ოქუაშვილთან.

შურა ახობაძე.

ექსკურსია ქარხანაში

10 აპრილს ეკონ. ფაკულტეტის საფინ. სექციის № 101 ჯგ. სამკუთხედის ხელმძღვანელობით მოვაწყვეთ ექსკურსია „26 კომუნარების" სახელობის ქარხანაში. ექსკურისაში მონაწილეობდა ჯგუფის მთლიანი შემადგენლობა.

ჩვენ გავეცანით ქარხნის მთელ რიგ მიღწევებს: ქარხანა ძირითადად ამზადებს გადამმუშავებელ მანქანებს.

საფეიქრო მრეწველობისათვის მანქანები მზადდება 85%; ჩაის საშრობი ღუმელები მზადდება 10%; სხვადასხვა სახის მანქანები—5%.

საფეიქრო მანქანები მზადდება საკავშირო მასშტაბით; ხოლო ჩაის საშრობი ღუმელები კი საქართველოს მასშტაბით.

ქარხანას აქვს 13 საამქრო, აქედან: ამკრეფი 2, მექანიკური 1, საჩამომსხმელო 1, სამოდელო 1, საიარაღო 1, სამჭედლო 1, დანარჩენი კი დამხმარე საამქროებია. ქარხანა პირველ ხანებში—1927 წლამდის—წარმოადგენდა სახელოსნოს, სადაც მუშაობა პრიმიტიული წესით წარმოებდა, ხოლო შემდეგ უკვე გადავიდა მტკიცე პროდუქციის გამომუშავებაზე მექანიზირებული წესით. მექანიზირებული მუშაობა ამჟამად ქარხანაში წარმოებს მექანიკურ, საიარაღო და სამჭედლო საამქროებში. ყოველივე ამას დიდი ინტერესით გავეცანით, ჩვენ დიდი სიხარულით შევხვდით ქარხნის სტახანოველებს, რომლებიც დაჯილდოვებული არიან უმაღლესი ჯილდოთი (ძველი მუშა ზაკამოლდინი—საპატიო ორდენით, მუშა აკოპოვი—მსუბუქი ავტო-მანქანით, რომელიც გეგმას ასრულებს 300—800%-მდე და სხვები).

ქარხანაში მუშაობს 850 კაცამდე. აქედან სტახანოველი არის 120 კაცი. ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანა სტახანოველების მუშაობამ, რომლებიც გეგმიანად იყენებენ დროის ყოველ წუთს.

ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორ ახერხებენ მუშები გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, ირგვლივ მანქანების ხმაურში ამხ-ბის ჯგუფი სიხარულს გრძნობს, აძლევენ შეკითხვებს სტახანოველ მუშებს: თუ როგორი იყო ნორმები და გეგმების შესრულება სტახანოვური მეთოდის დანერგვამდე და, როგორ მიაღწიეს ახლა ასეთ მაღალ ნორმებს—მართლაც საამურია ცხოვრება—ამბობს აღფრთოვანებული ერთერთი ამხანაგი—აბა ნახეთ, როგორ სიზუსტით იყენებენ დროს, რომ მეტი წვლილი შეიტანონ ჩვენს სოცმშენებლობაში.

ყოველი მუშა თავის-თავის კონტროლი და ხელმძღვანელია, ყველანი რაციონალურად იყენებენ დროს. მხიარული და აღტაცებული გადავდივართ ერთი საამქროდან მეორეში, სადაც კიდევ ახალ მიღწევებს ვხედავთ. ვგრძნობთ, რომ აქ უდიდესი მიღწევა და ტექნიკის გამოყენება არის. სანახაობით კმაყოფილნი გულწრფელად ვემშვიდობებით ქარხნის ინჟ. ამხ. დიდებულიძეს, რომელმაც დაუზარებლივ და დაწვრილებით მოგვცა ყველა შეკითხვებზე და ქარხნის მუშაობაზე ამომწურავი ახსნა-განმარტება,

ექსკურსიით კმაყოფილე[illegible]ვდივართ ქარხნიდან და კიდე[illegible]ხანს გრძელდება საუბარი [illegible]ში ნახულსა და გაგონილ[illegible]

ამ ექსკურსიამ ბევრი რ[illegible] შეგვმატა; საჭიროა ხშირ[illegible] წარბოდეს ასეთი ექსკურს[illegible]ან და მოებებში, სტახანო[illegible]ების დაატეხნიკოსთან ს[illegible]ც აუ[illegible]ილებხლოვების მიზნ[illegible]შედეგებს გამოილად დადებ[illegible]თა აკად. წარმატებებს ს[illegible]ც.

[illegible]ბის სა[illegible]კიდევ ახლო მომავალისა[illegible] ჩვ[illegible] გვაქვს გათვალისწინებულ[illegible] [illegible]ვაწყოთ ექსკურსია „სტალინის სახელობის" ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში.

ფ. ჯიქონაია,
გრ. შა[illegible]

კონფერენცია საინტერესო იყო

19 აპრილს, ლიტერატურული ფაკულტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის სექციამ ჩაატარა კონფერენცია ფრანგულ ენაზე. კონფერენციამ სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია. დღის წესრიგში იდგა **უნივერსიტეტში** ფრანგული ენის სწავლების ზოგიერთი საკითხი. ამ საკითხმა აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, **ანტონ ყურუამ** განაცხადა, რომ ფრანგული სექციის მეორე კურსის სტუდენტთა დიდ ნაწილს შეუძლია ფრანგული გაზეთის და მხატვრული ნაწარმოებების კითხვა და გაგება. მანვე მთელი რიგი წინადადებანი შემოიტანა ენის უფრო წარმატებით დაუფლებისათვის (ბიბლიოთეკიდან ფრანგული წიგნებით სარგებლობის მოგვარება, შესვენებების დროს სავალდებული საუბარი ფრანგულად, ზოგიერთი საგნის ფრანგულ ენაზე სწავლება და სხვ.). **მარო ფურცელაძემ** სასურველად სცნო ლიტერატურული დისპუტების ჩატარება ფრანგულ ენაზე. **თინა ბაქრაძე** ფრანგული ენის საათების რაოდენობის გადიდებას მოითხოვდა. ილაპარაკეს აგრეთვე **მარო შავგულიძემ, კატო ხატიაშვილმა, მარო მხუქნიაშვილმა** და სხვებმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში უცხო ენის სწავლებისადმი ყურადღება გაძლიერდა. ამით უნდა აიხსნას, რომ მეორე და პირველ კურსებზე ენის დაუფლება საკმაოდ დამაკმაყოფილებელია.

კონფერენციაზე გამოსული სტუდენტები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ფრანგული ენის მასწავლებლის დოც. **პ. დგებუაძის** ენერგიულ მუშაობას და დიდ მონდომებას.

სტუდენტთა წინადადების საფუძველზე კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

სახ. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფიის მოწინავე მუშა ამხ, გიორგი ჟვიძე·

ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე სტუდენტთა კონფერენციამ, რომელიც ამა წლის 19 აპრილს ჩაატარა ლიტ. ფაკულტეტის ფრანგულმა სექციამ, სტუდენტთა მიერ შემოტანილ პრაქტიკულ წინადადებათა საფუძველზე დაადგინა:

1. სისტემატურად ეწყობოდეს დისპუტები ფრანგი მწერლების შემოქმედებაზე. პირველ ხანებში ხდებოდეს ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა, ხოლო შემდეგ—ამათუიმ მწერლის მთელი შემოქმედების გარჩევა.

2. ზოგიერთი საგანი (მაგ.: ფრანგული ლიტერატურის ისტორიის სპეციალური კურსი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ფსიქოლოგია და სხვ.) ისწავლებოდეს ფრანგულ ენაზე.

3. ეთხოვოს რექტორს სათანადო განკარგულებით უზრუნველყოს ფუნდამენტალური ბიბლიოთეკიდან ფრანგული წიგნების დაუბრკოლებელი გაცემა სტუდენტებისათვის. ამ საკითხის რექტორატის წინაშე დაყენება დაევალოს ამხ. ანტ. ყურუას.

4. ლაპარაკში გავარჯიშებისათვის ჩვენი სექციის თითეული სტუდენტი ჰკისრულობს ელაპარაკოს ამხანაგს მხოლოდ ფრანგულად (შესვენების დროს და უნიუნივერსიტეტის გარეთაც). დაწესდეს მეთვალყურეობა ამ ვალდებულების შესრულებაზე (განსაკუთრებით—შესვენების დროს). მეთვალყურეობისათვის გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. თინა ბაქრაძე, 2. მარო შავგულიძე, 3. მარო ფურცელაძე, 4. ქეიშვილი. დაწესდეს, რომ ნაკისრი ვალდებულების დამრღვევმა, პროფესორის მითითებით, უნდა ისწავლოს ფრანგული ლექსი ან მოთხრობის ნაწყვეტი.

5. სასურველად ჩაითვალოს კონფერენციის ჩატარება ფრანგულ ენაზე, ხანგამოშვებით.

6. ფრანგული სექციის თვითეული სტუდენტი, მეორე კურსიდან დაწყებული, უსათუოდ უნდა იწერდეს და ჰკითხულობდეს მოსკოვის ფრანგულ გაზეთს („Le journal de Moscou").

7. უმაღლეს სასწავლებელში ევროპიული ენების შესწავლის გაადვილებისათვის სასურველად ჩაითვალოს ლათინური ენის სავალდებულო სწავლება საშუალო სასწავლებელში.

„სწავლება კარგსა და ფრიადზე"

უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში საზამთრო აღრიცხვის სესიების შედეგების შესახებ საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილებაში ნათქვამია, „უმაღლეს სასწავლებლის უმაღლეს ტეხნიკურ ინსტიტუტის და ტექნიკუმის კ. კ. ორგანიზაციის მუშაობა შეფასებული იქნეს პირველ რიგში იმისდამიხედვით, თუ როგორ აწყობს ბრძოლას სტუდენტთა სწავლების მაღალი ხარისხისათვის".

დადგენილების ეს მუხლი ფრიად სერიოზულ ამოცანებს სახავს ქიმიის ფაკულტეტის კ. კ ორგანიზაციის წინაშე. რადგანაც ქიმიის ფაკულტეტში თითო ან ორ საგან ჩაუბარებელი სტუდენტთა რიცხვი აღწევს 40-დის, მათშორის 22 კომკავშირელია. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას ხსენებულ დადგენილებას კომკავშირის ქიმიური ფაკულტეტის ორგანიზაცია დროზე გამოეხმაურა. აღსანიშნავია, რომ მეორე სემესტრში აკადემიური დონის ამაღლებისათვის ბრძოლის საკითხის ინიციატივა ძირა ორგანიზაციებიდან დაიწყო· ამ მხრივ ინიციატივა ეკუთნის მეორე კურსის № 123 ჯგუფის კომკავშირულ ჯგუფს (ჯგუფორგი შ. მანგიაშვილი). ამ ჯგუფმა აიღო ვალდებულება მეორე სემესტრში ჯგუფის საშუალო ნიშანი აიყვანოს ოთხზე. ჯგუფის ეს ინიციატივა მოწონებულ იქნა ფაკულტეტის პირველადი ორგანიზაციის ბიუროს მიერ ფაკულტეტის ყველა ჯგუფებში დამუშავდა ცეკას დადგენილება, და მიღებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი.

კ. კ. ქიმიის ფაკულტეტის პირველადი ორგანიზაციის კრებაზე, ცეკას დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით, მოსმენილ იქნა მოწინავე სტუდენტების (ჩხეტია, უგულავა, ჯილაევა) თვითანგარიში გამოცდილებათა გაზიარების მიზნით.

სტუდენტთა მომზადების დონის ამაღლების მიზნით, პირველ კურსებზე ჩამოყალიბებულია ორი ჯგუფი არაორგანიულ ქიმიაში, ჯგუფებს ხელმძღვანელობას უწ[illegible] მ. კომკავშირელი ასისტენტ[illegible] ხუნდაძე და გ. თალაკვაძ[illegible]ულტეტის კომკავშირის ქიმიის [illegible] ორგანიზაციის საბრძ[illegible]რ ამოცანაა „სწავლება კარგს[illegible] ფრიადზე".

ბ. ჯაფარიძე.

პ/მ. რედაქტორი—ხ. [illegible]

ტფილისის სხა. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია

თავლიტის რწმუნებული [illegible] № 16